

კონსერვაციისა და ცვლილებებისადმი ღიაობის
ღირებულებების კავშირი რელიგიურობასთან

სოფიო ჩარკვიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე,
სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირინა ვარდანაშვილი ასისტენტ-
პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლების ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.

სოფიო ჩარკვიანი

22 იანვარი 2021

აბსტრაქტი

საქართველოს ისტორიაში სხვადასხვა მიზეზების გამო იქნებოდა ეს პოლიტიკური თუ ა. შ. მიმდინარეობდა როგორც ღირებულებების ცვლა, ასევე აქტუალური იყო ხოლმე რელიგიურობის საკითხიც. აქედან გამომდინარე საკმაოდ საინტერესოა პიროვნების ღირებულებებისა და რელიგიურობის მნიშვნელობა, თუ რა ტენდენციაა ამ მხრივ საზოგადოებაში. კვლევის მიზანს წარმოადგენდა პიროვნების ღირებულებებსა და რელიგიურობას შორის კავშირის შესწავლა. აქამდე ჩატარებული კვლევებიდან დასტურდება, რომ რელიგიურობა და პიროვნების ღირებულებები ერთმანეთთან კავშირშია. კვლევის შედეგებით ვფიქრობ უფრო გასაგები გახდება თუ რომელი ღირებულებებია კავშირში რელიგიურობასთან. კვლევაში შესწავლილია კონსერვაციისა და ცვლილებებისადმი ღიაობის ღირებულებებს და რელიგიურობის ხუთი ცვლადს: რელიგიური პრაქტიკა, რელიგიური პარტიკულარიზმი, რელიგიური შედეგები, რწმენის განზომილება და რელიგიური გამოცდილებას შორის კავშირი. კვლევის თანახმად ჰიპოთეზა დადასტურდა ნაწილობრივ. რეგრესიული ანალიზისას სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ეფექტები რელიგიურობის ხუთ ცვლადზე აღმოაჩნდა ტრადიციას, სტიმულაციას, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, ავტონომიურ აზროვნებას, ავტონომიურ მოქმედებას და კონფორმულობა-წესებს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კონსერვაცია, ღიაობა ცვლილებებისადმი, ღირებულებები, რელიგიურობა.

Abstract

In the history of Georgia for various political or other reasons the change of values was taking place, as well as the issue of religiosity was relevant. It is therefore quite interesting to see the importance of individual values and religiosity, what is the trend in this regard in society.

The aim of the work was to study the relationship between personal values and religiosity. Studies have shown that religiosity and personal values are interconnected. The results of my research I think will make it clearer which values are associated with religiosity.

In particular, the study examines the relationship between personal values, openness to change and conservation, and the five variables of religiosity, such as: Religious practice, religious particularism, religious consequences, belief dimension and religious experience

According to the study, the hypothesis was partially confirmed. Statistically significant effects on the five dependent variables of religiosity were found in the regression analysis, such as: Tradition, stimulation, public safety, autonomous thinking, autonomous action and conformity-rules.

Keywords: religiosity, conservation, values, openness to change.